

*ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი
სასცენო ხელოვნების დეპარტამენტი*

პროგრამის სახელწოდება	ქორეოგრაფია - სადადგმო ხელოვნება
სტრუქტურული ერთეული	უწყვეტი განათლების ცენტრი
კოდი	CAf6
პროგრამის მოცულობა ECTS	60 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის საკადრო უზრუნველყოფა	<p>პროგრამის ხელმძღვანელი - მირანდა ბაღდადიშვილი - დამდგმელი ქორეოგრაფი, აჭარის დამსახურებული არტისტი; ბათუმის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; ბათუმის ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლის „ბათუმი“ ქორეოგრაფი, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე</p> <p>მობ. 591 71 20 28 e-mail m.baghdadishvili@gmail.com</p> <p>ვებგვერდი - https://www.facebook.com/miranda.bagdadishvili.9</p> <p>ქეთევან ვაჩიშვილი - პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სახვითი ხელოვნების დეპარტამენტის უფროსი (კოსტიუმის ისტორია და ცეკვის სასცენო გაფორმება) ketevanv@gmail.com</p> <p>მერაბ ლებანიძე - ასოცირებული პროფესორი, რეჟისორი (დრამატურგიისა და რეჟისურის საფუძვლები ქორეოგრაფიაში, მსახიობის ოსტატობა ქორეოგრაფიაში) lebanidze.51@mail.ru</p> <p>მაია ჟენტი - II კატეგორიის სპეციალისტი (მუსიკის თეორიის საფუძვლები)</p> <p>კარინა კარდაშიანი - I კატეგორიის სპეციალისტი (გრიმის ოსტატობა ქორეოგრაფიაში)</p>
პროგრამის მიზანი	<p>პროგრამა შედგება ორი მოდულისაგან - I მოდული - სადადგმო ხელოვნება, დრამატურგიისა და რეჟისურის საფუძვლები ქორეოგრაფიაში, მსახიობის ოსტატობა ქორეოგრაფიაში, მუსიკის თეორიის საფუძვლები და გრიმის ოსტატობა ქორეოგრაფიაში; II მოდული ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორია, კოსტიუმის ისტორია და ცეკვის სასცენო გაფორმება;</p> <p>პროგრამის მიზანია მსმენელების პროფესიული მსოფლმხედველობის გაღრმავება, მხატვრული ფანტაზიის და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, ქორეოგრაფიული სახეებით აზროვნების ჩამოყალიბება და სხვადასხვა ჟანრის, სტილისა და ფორმის ქორეოგრაფიული დადგმების განხორციელება.</p> <p>პროგრამის ამოცანებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • კომპოზიციის თეორიის, ცეკვის დრამატურგიის და რეჟისურის ცოდნის დაუფლება; • ქორეოგრაფიული დადგმის მეთოდის დაუფლება; • საცეკვაო კომპოზიციის შექმნის ხერხების დაუფლება; • სარეპეტიციო და სადადგმო მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლება. <p>საბოლოოდ, მსმენელმა უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება სხვადასხვა ჟანრის ქორეოგრაფიული კომპოზიციების შეთხზვასა და დადგმაში; • განახორციელოს ანსამბლში სარეპეტიციო და სადადგმო საქმიანობა. <p>შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქორეოგრაფიული ხელოვნების ჟანრებსა, სახეებსა და სტილებში ორიენტირება; • ქორეოგრაფიული დადგმის დრამატურგიული საფუძვლის ანალიზი და შემუშავება. • შეურჩიოს საცეკვაო ნიმუშს მუსიკალური თანხლება და იმუშაოს

	<p>მუსიკალურ მასალასთან;</p> <ul style="list-style-type: none"> • შეიმუშაოს ცეკვის კომპოზიციური გეგმა და განახორციელოს დადგმა; • გამოიყენოს ცეკვის გამომსახველი საშუალებები; • განახორციელოს სარეპეტიციო სამუშაოები; • განახორციელოს ქორეოგრაფიული დადგმის მხატვრულ-ტექნიკური გაფორმება. <p>პროგრამის დასრულების შემდეგ ეცოდინება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ცნობილი ქორეოგრაფების მუშაობის გამოცდილება; • ქორეოგრაფიული ხელოვნების დრამატურგიის და რეჟისურის საფუძვლები; • სასცენო სივრცის დინამიკის კანონები; • სივრცითი კომპოზიციის შექმნის სადადგმო ხერხები; • საცეკვაო ლექსიკის შექმნის ხერხები; • საცეკვაო ფოლკლორის შესწავლის და ფიქსაციის ხერხები; • ქორეოგრაფიული სახეების შექმნის ხერხები; • ქორეოგრაფიული მოქმედების ორგანიზაციის ხერხები; • ქორეოგრაფიული სიმფონიზმის ხერხები.
<p>დაშვების წინაპირობა</p>	<p>სრული ზოგადი განათლება</p>
<p>ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>მსმენელი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა). სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება.</p> <p>დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“).</p> <p>სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან:</p> <p>დადებითი შეფასება:</p> <p>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>ორი სახის უარყოფითი შეფასება:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მსმენელს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მსმენელის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>მსმენელი“ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე:</p> <p>ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;</p> <p>ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.</p> <ul style="list-style-type: none"> • FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. • შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
<p>სწავლებისა და სწავლის მეთოდები</p>	<p>ევრისტიკული მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; - პრაქტიკული მეთოდები; თანამშრომლობითი, ჯგუფური მუშაობა, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება. როლური თამაშები, სიტუაციური და შემთხვევის ანალიზი, დისკუსია-დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი. ლექციაზე დასწრება, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკულ მუშაობაში</p>

	<p>მონაწილეობა; პრეზენტაციის მომზადება; დამოუკიდებელი მეცადინეობა; პრაქტიკა; წყაროზე და ტექსტებზე დამოუკიდებელი მუშაობა; ინტერნეტ-რესურსების დამოუკიდებლად მოძიება; გამოცდების მომზადება-ჩაბარება;</p> <ul style="list-style-type: none"> • სალექციო და ჯგუფში მუშაობის საათების განაწილება მითითებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში.
ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა	სასწავლო კურსის გავლა შეიძლება ინდივიდუალურად ან ჯგუფთან ერთად.
სწავლის საფასური	<p>სწავლის საფასური განისაზღვრება საათის ღირებულების მიხედვით. 1 აკადემიური საათი 15 ლარი. ჯგუფთან ერთად კურსის გავლის შემთხვევაში 1 აკადემიური საათის ღირებულება შეიძლება განისაზღვროს დადგენილ ნორმაზე ნაკლები ოდენობით.</p>
კურსის გავლის დამადასტურებელი მოწმობა	სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი

სასწავლო პროცესების სტრუქტურა

კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტი	საათების რაოდენობა		
				სულ	საკონტ.	დამოუკ.
CAf6c-1-1		სადადგმო ხელოვნება	10	250	150	100
CAf6c-1-2	CAf6c-1-1	სადადგმო ხელოვნება	10	250	150	100
CAf6c-2		დრამატურგიისა და რეჟისურის საფუძვლები ქორეოგრაფიაში	5	125	75	50
CAf6c-3		მსახიობის ოსტატობა ქორეოგრაფიაში	5	125	75	50
CAf6c-4-1		მუსიკის თეორიის საფუძვლები	5	125	75	50
CAf6c-4-2	CAf6c-4-1	მუსიკის თეორიის საფუძვლები	5	125	75	50
CAf6c-5		გრიმის ოსტატობა ქორეოგრაფიაში	5	125	75	50
CAf6c-6-1		ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორია	5	125	50	75
CAf6c-6-2	CAf6c-6-1	ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორია	5	125	50	75
CAf6c-7		კოსტიუმის ისტორია და ცეკვის სასცენო გაფორმება	5	125	50	75
სულ			60	1500	825	675